განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება

ტექნოლოგიური პროექტების მენეჯმენტი და ინდუსტრიული პოლიტიკა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შეფასებისთარიღი
19 ოქტომბერი, 2018

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი
2018

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულებისსახელწოდებაორგანიზაციულ-სამართლებრივიფორმისმითითებით	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211349192
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ტექნოლოგიური პროექტების მენეჯმენტი და ინდუსტრიული პოლიტიკა
განათლებისსაფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელიკვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	მენეჯმენტის მაგისტრი პროექტების მენეჯმენტის სპეციალიზაციით 020327
სწავლების ენა	ქართული
კრედიტებისრაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტირებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით ასლანიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	აკაკი ხელაძე (წევრი), საქართველოს ბანკის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო პატარაია (წევრი), ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ანა მიხელიძე (სტუდენტი ექსპერტი), კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციისექსპერტთაჯგუფისშემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**
  - სსიპ - „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის“ ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის ტექნოლოგიური პროექტების მენეჯმენტისა და ინდუსტრიული პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა აკრედიტირებულია 2012 წლის 28 სექტემბერს (გადაწყვეტილება N 467). ის მდებარეობს ქალაქ თბილისში, მერაბ კოსტავას №77,0175, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის VIII კორპუსის შენობაში. პროგრამის მიზანია ისეთი მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რომლებიც შეძლებენ ინოვაციური გადაწყვეტილებების შემუშავებასა და რეალიზებას საწარმოო სისტემების განვითარებისა და სათანადო ინდუსტრიული პოლიტიკის უზრუნველსაყოფად. მსოფლიო ეკონომიკის განვითარების არსებულ ეტაპზე (მიმდინარე ინდუსტრიალური რევოლუცია - ინდუსტრია 4). ასეთ სპეციალისტებზე მოთხოვნა სამეწარმეო სამყაროს მხრიდან განპირობებულია გლობალურ ბაზარზე კონკურენტუნარიანობის მიღწევის და შენარჩუნების იმ ამოცანებით, რომლებიც უკვე დამდგარია ბიზნესისა და სამეცნიერო წრეების წინაშე.

  - ფაკულტეტის ისტორია, რომლის ერთ-ერთი სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის მიზანს ემსახურებოდა ეს ვიზიტი, უკვე 90 წელს ითვლის (1928 წლიდან ფუნქციონირებს) და მისი ძირითადი პროფილია ინჟინერ-ენერგეტიკოსების მომზადება. 1985 წლიდან მოყოლებული ფაკულტეტი აქტიურად ერთვება ენერგეტიკისა და ეკონომიკის დამაკავშირებული დარგების კადრების მომზადების საქმეში. ბოლო ოცი წელია ფაკულტეტზე სხვადასხვა სახით არსებობს ამ სფეროს მოთხოვნებიდან გამომდინარე სამაგისტრო პროგრამები. უკანასკნელ პერიოდში თანამედროვე მოთხოვნათა კვალდაკვალ ჩამოყალიბებულია საინჟინრო-მენეჯმენტისა და ინოვაციური ტექნოლოგიების მიმართულები.

  - რაც შეეხება „ტექნოლოგიური პროექტების მენეჯმენტისა და ინდუსტრიული პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამას“ - ეს იდეა ბოლო 8-10 წლის წინ ჩამოყალიბდა და დასრულებული პროგრამული სახე ბოლო 4 წლის წინ მიიღო. ფაკულტეტის მაგისტრატურაში ძირითადად ჩამბარებელ მსურველთა კონტინგენტი - ფაკულტეტის კურსდამთავრებული ბაკალავრის დიპლომის მქონე სტუდენტებია. ბოლო წლის მონაცემების თანახამდ მთლიანად ფაკულტეტის მაგისტრატურაში სწავლის სურვილი გამოთქვა 83 ბაკალავრმა, აქედან 20 ბაკალავრმა ვერ გადალახა მინიმალური დაწესებული ზღვარი.

  - რაც შეეხება აკრედიტაციაზე წარდგენილი სამაგისტრო პროგრამის შექმნის ინიციატივას, რომელიც 4 წელია, რაც არსებობს, ის მაგისტრანტებს ანიჭებს შესაძლებლობას გაეცნონ თანამედროვე სიახლეებს, მათ დანერგვას და ავითარებს სტუდენტის უნარ-ჩვევებს.

  - წელს პროგრამაზე მიღებულია 4 მაგისტრანტი სტუდენტი და ფაკულტეტს სურს მაღალი საკვალიფიკაციო სტანდარტის შენარჩუნების გზით შესაბამისი ხარისხის დონის შენარჩუნება. აღსანიშნავია, რომ ყველა მაგისტრანტი სტუდენტი დასაქმებულია.

- პროგრამა შედგენილია ECTS სისტემით, 1 კრედიტი უდრის 25 საათს, რომელშიც იგულისხმება როგორც საკონტრაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. პროგრამა გრძლედება 2 წელი (4 სემესტრი) და მოიცავს 120 კრედიტს. სასწავლო კომპონენტია - 75 კრედიტი, იგი სულ 15 სასწავლო კურსის გავლას ითვალისწინებს, რომელთაგან 2-ს მაგისტრანტი თავად ირჩევს შემოთავაზებული ალტერნატივებიდან.

- სამაგისტრო ნაშრომის კვლევითი კომპონენტის მოცულობაა 45 კრედიტი, რომელიც მოიცავს შემდეგს: სამაგისტრო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი - 5 კრედიტი, თეორიულ/ექსპერიმენტული კვლევა/კოლოქვიუმი - 10 კრედიტი, სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა - 30 კრედიტი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტის დღის წესრიგი

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2018 წლის 19 ოქტომბერს. ვიზიტამდე 1 კვირით ადრე, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაზიარებულ/მოწოდებულ იქნა დეტალური მასალა აკრედიტაციაზე წარდგენილი სამაგისტრო პროგრამის თაობაზე. ვიზიტამდე ორი დღით ადრე - 17 ოქტომბრის განმავლობაში - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შეთავაზებით ექსპერტებს ჰქონდათ შეკრების შესაძლებლობა (დავით ასლანიშვილი, აკაკი ხელაძე, ნინო პატარაია, ანი მიხელიძე), რათა განეხილათ აკრედიტაციაზე წარდგენილი სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში. ცენტრის მიერ მოწოდებული ფორმის მიხედვით განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა ვიზიტის მომენტში ინტერვიუს პროცესში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

19ოქტომბერს აღნიშნულ დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში 9 საათიდან დაიწყო სამუშაო შეხვედრა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, რომლის ერთ-ერთ პროგრამას წარმოადგენს აკრედიტაციაზე წარდგენილი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - „ტექნოლოგიური პროექტების მენეჯმენტი და ინდუსტრიული პოლიტიკა“ (დეკანი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროგრამის კოორდინატორი, საგეგმო-საფინანსოდეპარტამენტი), თვითშეფასების ჯგუფთან, სტუდენტებთან, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან. ასევე ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, საუდიტორიო ოთახები, ლაბორატორიები, კაბინეტები და ა.შ) დათვალიერება. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთანმიმართებით. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

ვიზიტი დასრულდა გეგმით გათვალისწინებულ დროს - 18:15 საათზე

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ტექნოლოგიური პროექტების მენეჯმენტისა და ინდუსტრიალური პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამაში ფორმულირებული მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას. პროგრამაში ჩამოყალიბებულია სწავლის შედეგები და სწავლის მეთოდები. თუმცა პროგრამის

კომპონენტების, კერძოდ სასწავლო კურსის სილაბუსებში, დაცულ სამაგისტრო ნაშრომებსა და სამეცნიერო კონფერენციებზე წარდგენილ ნაშრომებს შორის მკაფიოდ არ არის განსაზღვრული სწავლის შედეგებისა და სწავლის მეთოდების შესაბამისობა პროგრამის კომპონენტის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ყურადსაღებია, რომ პროგრამაზე მოდიან როგორც ეკონომიკურ-მენეჯერული ბაზის მქონე სტუდენტები, ისე ინჟინრებიც. თანამედროვე ტენდენციების პირობებში, როგორიცაა - ინდუსტრია 4 - აღნიშნული სამაგისტრო პროგრამა ხელს უწყობს პროგრამის კურსდამთავრებულებს, რათა მათ ფეხი უნდა აუწყონ ამ პროცესებს. პროგრამის ნაწილი ინდუსტრიასა და ინჟინერიას ეხება, ნაწილი კი უშუალოდ მენეჯმენტს.

სამაგისტრო პროგრამაში ჩართული მაგისტრანტების რაოდენობა მცირეა, თუმცა ამ პროგრამით ძირითადად სწავლობენ ისინი, ვინც იმავე მიმართულებით დაამთავრეს საბაკალავრო პროგრამები. ფაკულტეტისა და პროგრამის კოორდინატორების აზრით ამ ეტაპზე, უნივერსიტეტში არ არის დაგროვებული ბაკალავრების კრიტიკული რაოდენობა, რომლებიც დაინტერესებული არიან ამ პროგრამით. ამაზე ასევე ნეგატიურად მოქმედებს ბოლო წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი ცენზი/ხედვა, რომელიც გადახრილია ე.წ. პრესტიჟული მიმართულებების მიმართულებით, რაც თავის მხრივ ასევე ახდენს გავლენას სტუდენტების დაინტერესებაზე.

პროგრამაზე მიღების წინაპირობა გამჭვირვალეა და ზოგადი რეგულაცია პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესახებ განთავსებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა ბაკალავრის ან მასთან დაკავშირებული აკადემიური ხარისხის ქონა. მოთხოვნებს შორისაა საერთო სამაგისტრო გამოცდისა და სტუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდა/გამოცდების ჩაბარება. პროგრამაზე ჩარიცხვა სამაგისტრო გამოცდების გარეშე, შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალ სხვადასხვა კომპონენტებში გამოყენებულია სწავლების სტანდარტული მეთოდები. თუმცა,აღნიშნული სწავლების მეთოდები სტანდარტულად გამოიყენება პროგრამით გათვალისწინებული სილაბუსების უმრავლესობაში, რაც ბუნდოვანს ხდის ყველა დისციპლინაში მათი გამოყენების საჭიროებას.

სწავლის ინტერნაციონალიზაციის კუთხით აღინიშნა, რომ უნივერსიტეტს აქვს რიგი მემორანდუმი და პროგრამის დანერგვამდე, როგორც წესი, ხდება შედარება იმასთან, არსებობს თუ არა მსგავსი პროგრამები სხვა ქვეყნებში.

პროგრამის ბიუჯეტი დგება ფაკულტეტზე, რომლის საშემოსავლო ხვედრითი წილი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საშემოსავლო ბაზაში საკმაოდ მაღალია და ის 13 % შეადგენს. ამ მხრივ აღინიშნა, რომ სამაგისტრო პროგრამა და ფაკულტეტიც ფინანსურად მდგრადია.

აღინიშნა ის პრობლემა, რომელიც უკავშირდება სხვადასხვა საბაზო ცოდნის მქონე მაგისტრანტების მიღებას პროგრამაზე. თუმცა სამაგისტრო პროგრამა და მისი დიზაინი მიმართულია მეტ-ნაკლებად იმისკენ, რომ დააბალანსოს უნივერსიტეტში სიტუაცია და ინჟინრებს ასწავლონ უფრო ღრმად მენეჯერული საკითხები, ხოლო ბიზნესიდან მოსულებს კი უფრო უკეთ დააანახონ ინჟინერია და ა.შ.

ფაკულტეტის ადმინისტრაციამ განმარტა, რომ სამაგისტრო პროგრამა გამორჩეულია ბაკალავრიატისგან და ბაკალავრიატში ხდება ბაზის მიცემა პროგრამაში მსურველი

მომავალი მაგისტრანტებისთვის. სტუდენტები სწავლობენ ტრადიციულ საგნებს როგორც მენეჯმენტის ისე ინჟინერიის მიმართულებით.

ამასთანავე აღინიშნა, რომ სამაგისტრო პროგრამაზე მოსწავლე სტუდენტთა სხვადასხვა დონის და კვალიფიკაციის გამო ზოგჯერ ადგილი აქვს სტუდენტის მიერ ბაკალავრიატში სხვა სპეციალობით გავლილი კურსის ურთიერთგადამფარავი კურსის შემთხვევას. თუმცა, მაგისტრატურა უფრო მეტადაა ფოკუსირებული, რომ შედეგი მიღწეულ იქნას თანამედროვე სიტუაციის ცოდნით და ქეის სტადების პრინციპით ხდება სასწავლო მასალის გაძლიერება.

უნდა აღინიშნოს, რომ სამაგისტრო პროგრამა და კურსები შედგენილ იქნა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით და იმ პროგრამათა გაცნობის შემდეგ, რომელიც დანერგილია ჯორჯიის (აშშ) ტექნიკურ უნივერსიტეტსა და დერფტის (ნიდერლანდები) უნივერსიტეტებშიის პროგრამებს.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს უცხოური ენის ცოდნის მაღალ სტანდარტს (ისწავლება სამი უცხო ენა არჩევითობის მიხედვით).

დაცულ ნამუშევრებს შორის მთელი რიგი ნაშრომი თემატურად განსახვავებულია პროგრამის შინაარსისაგან, რასაც აღიარებს ფაკულტეტის ადმინისტრაცია და პროგრამის კურატორი და მიიჩნევენ, რომ ეს ნამდვილად პრობლემური საკითხია. თუმცა აღინიშნა, რომ ამის მიუხედავად, რიგ ნაშრომებში მაინც არის ასახული ხედვები და თეორიული ბაზისი, რომელსაც სტუდენტი ეზიარა ამ პროგრამაზე სწავლის განმავლობაში. ფაკულტეტის ადმინისტრაციას მიაჩნია, რომ მნიშვნელოვანია სტუდენტმა მოახერხოს პრაქტიკაში გამოიყენოს მიღებული ცოდნა და სამაგისტრო ნაშრომებში ეს სხვადასხვა სახით შეიძლება აისახოს.

აკადემიურ პერსონალთან შეხვედრაზე დაზუსტდა თუ რა იყო უნივერსიტეტის მიზანი ამ სამაგისტრო პროგრამის ამოქმედებით - მოეხდინა ეკონომიკური და საინჟინრო განათლების შერწყმა და ისეთი კადრების შექმნა, რომელთაც ექნებოდათ კომპეტენციები ორივე მიმართულებით. ასეთი კადრის მომზადების გზაზე სტუდენტების მხრიდან, ვისაც არა აქვთ ტექნიკური განათლება უჭირთ ტექნიკური საგნების ათვისება, ხოლო ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებს ძირითადად არ აქვთ კომპეტენციები ეკონომიკაში. ამ მხრივ სამაგისტრო პროგრამაში მოღვაწე აკადემიური პერსონალი მაქსიმალურ ადაპტაციას ახდენს საგნობრივ და საკონსულტაციო დონეზე, რომ მოახდინოს შესაბამისი სამაგისტრო კურსის ამოცანის მიღწევა.

სამაგისტრო პროგრამის პრიორიტეტს წარმოადგენს შედეგებისა და მიზნების შემუშავება, საგნებს შორის ურთიერთკავშირი და სასწავლო კურიკულუმის მომზადება. ამით მიიღწევა აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის საბოლოო მიზნები და დგება პროგრამით გათვალისწინებული შედეგი - მენეჯმენტის მაგისტრი პროექტების მენეჯმენტის სპეციალობით. პროგრამა ტექნოლოგიებისა და მენეჯმენტის სინთეზს წარმოადგენს.

კურსების შეფასება სტუდენტების მხრიდან და აკადემიური პერსონალისთვის შეფასების გაცნობა ხდება ხარისხის სამსახურის მეშვეობით, ხოლო შემდეგ ხარისხის სამსახური პირადად (ზეპირად) აცნობს პროფესორებს შედეგებს. უნივერსიტეტში ვიზიტის დროს ჯგუფის წევრები გაეცნენ იმ მატერიალურ - ტექნიკურ ბაზას, რაც გააჩნია ფაკულტეტს და სარგებლობენ პროგრამის მაგისტრანტები. კომპიუტერული ცენტრი მოწყობილია თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად, წარმოდგენილია 51 კომპიუტერით, ქსელით და შესაბამისი აღჭურვილობით. აქვთ ლიცენზირებული სოფტის პროგრამები, შეძენილია ე.წ. ღრუბლის სისტემაში მომუშავე სხვადასხვა პროგრამა (საპი, იარპი), ასევე ექსელი, ემეს

პროჯექტი და სხვა. იმ ამოცანების ამოსახსნელად, რაც სამაგისტრო კურსს ესაჭიროება იყენებენ რაოდენობრივი ანალიზის შესაბამისს პროგრამებს და საპ ბიზნეს 1 მოდელს. (შესყიდვების და გაყიდბვების მოდული). პროგრამებში არსებობს ამოცანები ვირტუალურ კომპანიაზე და სტუდენტს ეძლევა ინტერაქტივის შესაძლებლობა მართოს კომპანია და ააწყოს დავალებული სისტემა/ამოცანა.

ექსპერტებმა მიმოიხილეს ფაკულტეტის ტექნიკურ სისტემათა ლაბორატორია, სადაც მოცემული იყოს გერმანული კომპანიის წყლის დანადგარი, რომლის მუშაობის სტილის პრინციპზე ხორციელდება მოდელირება და ამით ეკონომიკური პროფილის მქონე სტუდენტი უკეთ ერკვევა ამა თუ იმ ტექნოლოგიური საკითხში, რაც მის პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს ამდიდრებს. აღნიშნული კურსის დასახელებაა „სისტემათა ინჟინერინგი“, რომელიც ისწავლება ამ პროგრამაზე. ამასთანავე წარმოდგენილი იყო მზის ენერგიის გაზომვის ხელსაწყო, რომლის მონაცემები და შედეგი მოდელირდებოდა კომპიუტერულ ქსელში და ამ გზით მისი ეფექტიანობის მაჩვენებლის გაზოვმა იყო შესაძლებელია - ანუ პრაქტიკული დავალების ეკონომიკურ - ფინანსური დასაბუთების სიმბიოზის ციკლი.

გარკვეული გაუგებრობა გამოიწვია ხარისხის სამსახურის წარმომადგენელთა ფრაზამ, რომ პედაგოგის შეფასებები მიდის თვითმმართველობაშიც, რაზეც მიღებულ იქნა განმარტება, რომ სტუდენტთა თვითმმართველობაზე არ იყო საუბარი, არამედ გარკვეულ დეპარტამენტზე, რომელიც მუშაობს სტუდენტთა საქმეებზე.

ხარისხის სამსახურმა დაადასტურა, რომ ტექნიკურ უნივერსიტეტში არის დამტკიცებული კითხვარი - სტანდარტი ყველა ფაკულტეტისათვის, ხოლო ხარისხის სამსახური ეწევა შესაბამისს მონიტორინგს შეფასებატა სისტემასა და გამოკითხვების ირგვლივ. შეფასებები ხორციელდება სემესტრულად.

დადგინდა, რომ სწავლის შედეგების შეფასების რუქა არსებობს, ოღონდ საპილოტო რეჟიმში. უნივერსიტეტში არსებული სტანდარტის მიხედვით ფოკუს ქულების მიხედვით კონცენტრაცია ამ ეტაპზე ხდება C შეფასებაზე. აღინიშნა, რომ შემოწმების შედეგად დანერგილია ქულების გასაჩივრების მექანიზმები, თუმცა დაბალია გასაჩივრების რაოდენობა. სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტთა სიმცირის გამო რეალურად დგას თეორიული შანსი, რომ ამა თუ იმ საგანზე ერთი სტუდენტი იყოს დარეგისტრირებული. ხარისხის სამსახურის განმარტებით, ასეთ შემთხვევაში მოქმედებს დამტკიცებული სპეციალური რეგულაციები.

ფაკულტეტზე დანერგილია აკადემიური პერსონალის შეფასების მექანიზმები. ხდება უნივერსიტეტში სამეცნიერო და სასწავლო კომპონენტების შეფასება. აკადემიური პერსონალი ვალდებულია შეავსოს დადგენილი ფორმა, რომლის შეფასება ხორციელდება ფაკულტეტის ადმინისტრაციის მიერ. შემუშავებულია აკადემიური პერსონალის დატვირთვის წესი. უნივერსიტეტში მოქმედებს 400 და 500 საათიანი დატვირთვები პროფესორებისათვის. გარდა ამისა, უნივერსიტეტის პროფესორებს არ ეზღუდებათ სხვა უნივერსიტეტში მოღვაწეობაც, თუმცა ზღვრული დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს 1100 საათს წელიწადში.

ექსპერტებთან შეხვედრაზე, ფაკულტეტისა და სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთა რიგი დამსაქმებელი ორგანიზაციის მხრიდან - საქართველოს ინდუსტრული ჯგუფი, პურ პროდუქტების ასოციაცია, საქართველოს ფოსტა, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო-აღინიშნა ის მნიშვნელობა, რომელიც გააჩნია ფაკულტეტს დამსაქმებლებისთვის. საკუთრივ სამაგისტრო პროგრამით დაინტერესება

გაცილებით სუსტი იყო, ან კავშირი არ იკითხებოდა. ძირითადი ინტერესი მჟღავდებოდა ენერგეტიკის კუთხით პროექტებში დასაქმებულ კურსდამთავრებულების მიმართ, სადაც ამეტაპზე 400-500 კვალიფიცირებული მუშაკის საჭიროება არსებობს. გარდა ამისა, ფაკულტეტი და სამეცნიერო პოტენციალი, მათ მიერ მომზადებული სხვადასხვა სახის ექსპერტიზა, რიგი პრაქტიკული სიტუაციის ანალიზი და დასკვნა აძლიერებს კავშირურთიერთობებს მხარეთა შორის. დამსაქმებელთა მხრიდან ინტერესი და რჩევა გამოიხატა პროგრამის მეტ დეტალიზაციაში და მისადაგებაში მათი საჭიროებიდან გამომდინარე. მათი აღქმით სამაგისტრო პროგრამა ინჟინერიას განიხილავს ეკონომიკურ ჭრილში, რაც აძლევს მათ ძლიერ მხარეს. პროგრამის კურსდამთავრებულს უნდა ჰქონდეს უნარი, მიუდგნენ საკითხებს უფრო კომპლექსურად. დამსაქმებლების მხრიდან არსებობს ინტერესი ლოგისტიკური მიმართულებების საგნების მიმართ, სადაც კადრების დეფიციტია. ამ მხრივ, პროგრამაში დისციპლინის სახით „ლოჯისტიკური სისტემების მოდელირების“ საგნის არსებობა აძლიერებს ამ კომპეტენციების მქონე სტუდენტების კვალიფიკაციას და იწვევს დამსაქმებლის მხრიდან ინტერესს უნივერსიტეტთან თანამშრომლობის კუთხით. დამსაქმებლებთან ურთიერთობისას არ გამოიკვეთა რაიმე ტექნოლოგიური პროექტის ბმა პროგრამასთან მიმართებით.

სამაგისტრო პროგრამაში ჩართული სტუდენტები იღებენ აუცილებელ ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად. დაწესებულების ვებ-გვერდზე განთავსებულია ყველა საჭირო ინფორმაცია სასწავლო პროცესის, პროგრამების და აქტივობების შესახებ. დაწესებულების აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა. სურვილის შემთხვევაში, დამატებით, თითოეულ სტუდენტს აქვს შესაძლებლობა, წინასწარი შეთანხმებით, შეხვდეს აკადემიურ პერსონალს და გაიაროს კონსულტაცია. დაწესებულება ხელს უწყობს სტუდენტების ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ ყოველწლიურ კონფერენციებში და ასევე, სხვადასხვა კვლევით პროექტში.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს და ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტს გააჩნია აკადემიური პროცესის განხორციელებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურა. საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების აკადემიური პერსონალით. აკადემიური პერსონალი შერჩეულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. პროგრამის წარმატებულად განხორციელებას უზრუნველყოფს ფაკულტეტის ადმინისტრაცია, რომელიც ხელს უწყობს უნივერსიტეტში თანამშრომლობითი გარემოს ფორმირებას. სასწავლო კურსის მიწოდება ხდება სილაბუსის მიხედვით, რომელშიც მითითებულია სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა. სწავლების პროცესში სტუდენტებს სთავაზობენ, როგორც უახლეს ინგლისურენოვან ლიტერატურას, ასევე პედაგოგების მიერ მომზადებულ რიდერებს ქართულ ენაზე, რაც ხელს უწყობს სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა ზოგიერთი დისციპლინაში მოცემული ლიტერატურა ვერ მოიძებნა ვერც ფაკულტეტის და ვერც უნივერსიტეტის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში.

სამაგისტრო პროგრამა არის გამორჩეული თავისი მიზნებიდან და რესურსებიდან გამომდინარე. ის აბალანსებს თეორიულ ცოდნას და თანამედროვე ბაზრის პრაქტიკულ მოთხოვნებს და სტუდენტებს აძლევს საშუალებას განავითარონ მათი უნარ - ჩვევები. სტუდენტთა მხრიდან იგრძნობა პოზიტიური ურთიერთკავშირი, როგორც ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამის პერსონალთან, ასევე ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან. ამ მხრივ

პროგრამის სტუდენტებთან გასაუბრებიდან გამომდინარე ფაკულტეტი მაღალ შეფასებას იმსახურებს. ფაკულტეტის და საკუთრივ პროგრამის ლაბორატორიული და მთლიანობაში მატერიალური ბაზა არის ძლიერი.

რეკომენდაციები

- მიზნები გასაწერია იმგვარად, რომ ცოდნა, უნარები და კომპეტენცია მკაფიოდ გამოჩნდეს პროგრამის გაცხადებულ პრიორიტეტებსა და სამაგისტრო კურსის შედეგს შორის. ამ მხრივ პროგრამა დახვეწას საჭიროებს;
- მკაფიოდ განისაზღვროს სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები დასახული მიზნისა და შედეგების მისაღწევად სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით;
- პროგრამის სწავლის შედეგები უფრო მეტ შესაბამისობაშია მოსაყვანი საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებთან.
- სასწავლო კურსი - სილაბუსები - სისტემატიზაციის ნაკლებობას განიცდის. ამ მიმართულებით არსებობს გარკვეული ტექნიკური ხარვეზები, რასაც სჭირდება გაუმჯობესება.
- შესაბამისობაშია მოსაყვანი პროგრამის შინაარსი და გაცხადებული მიზნები, რამეთუ რიგი სამაგისტრო ნაშრომების შინაარსი და ტემატიკა სცილდება პროგრამის შინაარსს და მიზნებს
- სამაგისტრო ნაშრომის მომზადება და შეფასება სტრუქტურიზებულია, მაგრამ გასაუმჯობესებელია როგორც შინაარსობრივად, ასევე შეფასების მხრივ.
- დასახვეწია შიდა ხარისხის შეფასების მექანიზმები და სასურველია ხარისხის გარე შეფასების მექანიზმების ჩართვა.
- გააქტიურდეს დაინტერესებული მხარეების, კერძოდ პოტენციური დამსაქმებლების, სტუდენტებისა და კურსდამთარებულების რეალური ჩართულობა პროგრამის პოპულარიზაციის და შემუშავების პროცესში
- სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოყენებული კრიტერიუმების მეტი გამჭირვალეობის უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია განხორციელდეს ცოდნის შეფასების ცალკეულ კრიტერიუმში მისანიჭებელი ქულების რანჟირება.
- სამაგისტრო ნაშრომის ერთჯერადად (დასკვნითი) შეფასების წესი სრულად გაიწეროს უნივერსიტეტის მაგისტრატურის საფეხურზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტში
- დასახვეწია სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა და მისი ფაქტიური არსებობის საკითხის მდგომარეობა ბიბლიოთეკაში
- დასახვეწია და შესაბამისობაშია მოსაყვანი საგნების არჩევითობის პრინციპის რეალური დაცვა

- დასახვეწია სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა და მისი ფაქტიური არსებობის საკითხის მდგომარეობა ბიბლიოთეკაში
- სამაგისტრო ნაშრომის მომზადება და შეფასება სტრუქტურიზებულია, მაგრამ გასაუმჯობესებელია როგორც შინაარსობრივად, ასევე შეფასების მხრი
- გასაუმჯობესებელია სამაგისტრო ნაშრომის შეფასების სისტემა.
- შემუშავდეს და ამოქმედდესშიდა ხარისხის შეფასების სისტემური და თანამონაწილეობითი მექანიზმი, რომლის შესახებ ინფორმირებული იქნება პროგრამის განხორციელებაშიჩართული ყველა პირი და ასევე სხვა დაინტერესებული მხარეები (სტუდენტები, კურსდამთავრებულები და პოტენციური დამსაქმებლები);
- გაიზარდოს არსებული შიდა ხარისხის შეფასების მექანიზმებისა და მათი გამოყენებისშესაძლებლობების შესახებ ცნობადობა ჩართულ/დაინტერესებულ პირებში;
- მოხდესდაინტერესებული პირების რეგულარული გამოკითხვა პროგრამის მიზნებთან, სწავლის შედეგებთან, შინაარსთან, ხარისხთან მიმართებაში დაშემოთავაზებული მოსაზრებები გათვალისწინებულ იქნას პროგრამის დასახვეწად;
- დაკონკრეტდეს პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები და გაიზარდოს მისი როლი აღნიშნული პროგრამის შიდა ხარისხის შეფასების პროცესში;
- აღნუსხული იყოს პროგრამასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემების დამუშავების საფუძველზე განხორციელებული ცვლილებები.
- მოხდეს ხარისხის გარე შეფასების მექანიზმების დივერსიფიკაცია (მაგ. კოლეგიალური შეფასება)პროგრამის შემდგომი განვითარებისმიზნით;
- მოხდეს გარე ხარისხის შეფასების შედეგების კომპლექსური ანალიზი და გამოყენება პროგრამის დახვეწის მიზნით.
- მოხდეს შეფასების სხვადასხვა მექანიზმის შედეგების სისტემური ანალიზის საფუძველზე განხორციელებული ცვლილებების აღრიცხვა და შემდგომი მონიტორინგი;
- დამსაქმებელთა გამოკითხვა გახდეს უფრო კომპლექსური და ატარებდეს რეგულარულ ხასიათს.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - გააქტიურდეს პროგრამის პოპულარიზაცია და მარკეტინგი, რომ გაძლიერდეს ინტერესი პროგრამის მიმართ.სასურველია ინტერნაციონალიზაციის დონის

ამაღლება და მოწვეული პროფესორიების (მათ შორის პარტნიორი საერთაშორისო უნივერსიტეტებიდან) მოწვევა

- სამაგისტრო ნაშრომისთვის გამოყოფილი საკრედიტო საათების რაოდენობის მორგება დატვირთვაზე დახვეწა
- სასურველია სტუდენტების მეტი ჩართულობა სამეცნიერო საქმიანობაში
- სასურველის ყურადღება მიექცეს სტუდენტთა მოსაზრებას და გაძლიერდეს პრაქტიკული საგნების ხვედრითი წილი
- გადასახალისებელია სტატისტიკურად მოძველებული მონაცემები სტუდენტეტბის სასწავლო პროგრამებში
- დასაკორექტირებელია რიგ სილაბუსში არსებული ქულათა ჯამი და მათი განშლა (უცხო ენების სილაბუსები)
- სასურველია სილაბუსში გაიწეროს საკუნსულტაციო საათები;
- სასურველია ლიტერატურა იყოს არამარტო ცენტრალურ ბიბლიოთეკაში, არამედ ფაკულტეტის ბიბლიოთეკაშიც
- სასურველიაპროგრამისგანმახორციელებელაკადემიურდამოწვეულპერსონალისკვლ ევითისაქმიანობისმხარდამჭერიმექანიზმებისმეტადგააქტიურება
- აღსანიშნავია ის ფაქტი რომ ბიუჯეტირების ფორმალური პროცედურა ითვალისწინებს ფაკულტეტის ბიუჯეტის შედგენას. მართვის, გამჭირვალობის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, უკეთესია ბიუჯეტი მომზადდეს ასევე პრორგამის დონეზე. როგორც დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, ამ ეტაპზე პროგრამის გარკვეული ხარჯები ფინანსდება საერთო საფაკულტეტო ბიუჯეტიდან.
- სასწავლო კურსების სილაბუსებში მოცემული სასწავლო მასალა ძირითადად დაფუძნებულია მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლების შედეგების მიღწევას. პროგრამის სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ თანამედროვე საბიბლიოთეკო რესურსებით, მათ შორის საერთაშორისო მონაცემთა ბაზებით.თუმცა, რიგ სასწავლო კურსებში სასურველია უფრო თანამედროვე, უახლესი, სასწავლო ლიტერატურის და მასალების გამოყენება

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა(ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1პროგრამის მიზნები
პროგრამისმიზნებიასახავს,თურაცოდნის, უნარებისადაკომპეტენციებისმქონეკურსდამთავრებულისმომზადებისკენარისმიმართული იგიდარაწვლილიშეაქვსდარგისადასაზოგადოებისგანვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი

სსიპ - „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის“ ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის ტექნოლოგიური პროექტების მენეჯმენტისა და ინდუსტრიული პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა აკრედიტირებულია 2012 წლის 28 სექტემბერს (გადაწყვეტილება N 467). ის მდებარეობს ქალაქ თბილისში, მერაბ კოსტავას №77,0175, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის VIII კორპუსის შენობაში. პროგრამის მიზანია ისეთი მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რომლებიც შეძლებენ ინოვაციური გადაწყვეტილებების შემუშავებასა და რეალიზებას საწარმოო სისტემების განვითარებიოსა და სათანადო ინდუსტრიული პოლიტიკის უზრუნველსაყოფად. მსოფლიო ეკონომიკის განვითარების არსებულ ეტაპზე (მიმდინარე ინდუსტრიალური რევოლუცია - ინდუსტრია 4). ასეთ სპეციალისტებზე მოთხოვნა სამეწარმეო სამყაროს მხრიდან განპირობებულია გლობალურ ბაზარზე კონკურენტუნარიანობის მიღწევის და შენარჩუნების იმ ამოცანებით, რომლებიც უკვე დამდგარია ბიზნესისა და სამეცნიერო წრეების წინაშე.

ფაკულტეტის ისტორია, რომლის ერთ-ერთი სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის მიზანს ემსახურებოდა ეს ვიზიტი, უკვე 90 წელს ითვლის (1928 წლიდან ფუნქციონირებს) და მისი ძირიტადი პროფილია ინჟინერ-ენერგეტიკოსების მომზადება. 1985 წლიდან მოყოლებული ფაკულტეტი აქტიურად ერთვება ენერგეტიკისა და ეკონომიკის დამაკავშირებული დარგების კადრების მომზადების საქმეში. ბოლო ოცი წელია ფაკულტეტზე სხვადახსვა სახით არსებობს ამ სფეროს მოთხოვნებიდან გამომდინარე სამაგისტრო პროგრამები. უკანასკნელ პერიოდში თანამედროვე მოთხოვნათა კვალდაკვალ ჩამოყალიბებულია საინჟინრო-მენეჯმენტისა და ინოვაციური ტექნოლოგიების მიმართულები.

სულ უფრო მეტად იზრდება ტექნოლოგიათა შესაძლებლობების სამეწარმეო სტრატეგიათა ჭრილში განხილვის საჭიროება, მატულობს იმ ფაქტორთა რაოდენობა, რომლებიც გავლენას ახდენენ მეწარმეთა და ინჟინერთა შესაბამისს გადაწყვეტილებებზე. ყოველივე ეს ინოვაციური მიდგომების გამოყენებას მოითხოვს.

მსგავსი ამოცანების გადაწყვეტისთვის სამაგისტრო პროგრამაზე “ტექნოლოგიური პროექტების მენეჯმენტი და ინდუსტრიული პოლიტიკა“ შემუშავებულია საერთაშორისო პარტნიორ უნივერსიტეტების გამოცდილებაზე დაყრდნობით სასწავლო პროგრამა, რომელიც ამზადებს ამ დარგის კადრებს. სამაგისტრო პროგრამა და კურსები შედგენილ იქნა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით და იმ პროგრამათა გაცნობის შემდეგ, რომელიც დანერგილია ჯორჯიის (აშშ) ტექნიკურ უნივერსიტეტსა და დერფტის (ნიდერლანდები) უნივერსიტეტების პროგრამებში. საგანი „სამეწარმეო და ტექნოლოგიურ ინოვაციათა მენეჯმენტი“ დაინერგა დერფტის უნივერსიტეტის პროგრამის მიხედვით, ხოლო საგანი „გადაწყვეტილებათა მიღების რაოდენობრივი მეთოდები“ - ჯორჯიის ტექნიკური უნივერსიტეტის პროგრამების მიხედვით. ამასთანავე, გათვალისწინებულია ადგილობრივი სპეციფიკა.

სამაგისტრო პროგრამისგავლისას სტუდენტი ღებულობს ცოდნას, რომელიც პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე მიმართულია ბიზნესის ტექნოლოგიური და ორგანიზაციული განვითარების სამეწარმეო პოტენციალის შეფასებასა და რეალიზებაზე. პროგრამა ორიენტურებულია და განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს რაოდენობრივი ანალიზის შეფასების მეშვებობით პრაქტიკული უნარების განუვითაროს სტუდენტს. მოახდინოს ამ

ცოდნის დაკავშირება გრძელვადიან სამეწარმეო პოლიტიკაში. ამ უნარების შეძენის შედეგად პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს ქმედითი მონაწილეობა მიიღოს პრაქტიკაში შესაბამისი პროგრამის შემუშავებასა და პროექტის განხორციელებაში. სამაგისტრო პროგრამის პრიორიტეტს წარმოადგენს შედეგებისა და მიზნების შემუშავება, საგნებს შორის ურთიერთკავშირი და სასწავლო კურიკულუმის მომზადება. ამით მიიღწევა აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის საბოლოო მიზნები და დგება პროგრამით გათვალისწინებული შედეგი. პროგრამა ტექნოლოგიებისა და მენეჯმენტის სინთეზს წარმოადგენს.

სამაგისტროპროგრამაარისგამორჩეულითავისიმიზნებიდანდარესურსებიდანგამომდინარე. ისაბალანსებსთეორიულცოდნასდათანამედროვეგბაზრისპრაქტიკულმოთხოვნებსდასტუდენტებსაძლევსსაშუალებასგანავითარონმათიუნარ - ჩვევები.
სტუდენტთამხრიდანიგრძნობაპოზიტიურიურთიერთკავშირი,
როგორცფაკულტეტისსამაგისტროპროგრამისპერსონალთან,
ასევეფაკულტეტისადმინისტრაციასთან.
ამმხრივპროგრამისსტუდენტებთანგასაუბრებიდანგამომდინარეფაკულტეტიმაღალშეფასებასიმსახურებს.
ფაკულტეტისდასაკუთრივპროგრამისლაბორატორიულიდამთლიანობაშიმატერიალურიბაზაარისძლიერი. პროგრამაშიჩართულიფაქტიურადყველასტუდენტიარისდასაქმებული, რაცერთმნიშვნელოვნადდადებითიმოვლენაა.
მჭიდროდადახვეწილიურთერთკავშირიაფაკულტეტსადაპროგრამისხელმძვანლეობასადადამსაქმებელკომპანიებთანურთიერთობა.
კომპანიებისმხრიდანიგრძნობაკმაყოფილებაპროგრამაშიმონაწილესტუდენტებისდონით, რომლებიციმავდროულადამათუიმკომპანიისთანამშრომელია.
ზემოთქმულიდან გამომდინარე პროგრამა შეესაბამება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისიას - http://gtu.ge/AboutStu/Mission.php -დაძირითადდებულებებს.
ამ მხრივ სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის „ტექნოლოგიური პროექტების მენეჯმენტისა და ინდუსტრიული პოლიტიკის“ სამაგისტრო პროგრამის მიზნები მეტ წილად შესაბამისობაშია მისიასთან.

აკადემიურ პერსონალთან შეხვედრაზე დაზუსტდა თუ რა იყო უნივერსიტეტის მიზანი ამ სამაგისტრო პროგრამის ამოქმედებით - მოეხდინა ეკონომიკური და საინჟინრო განათლების შერწყმა და ისეთი კადრების შექმნა, რომელთაც ექნებოდათ კომპეტენციები ორივე მიმართულებით. ასეთი კადრის მომზადების გზაზე სტუდენტების მხრიდან , ვისაც არა აქვთ ტექნიკური განათლება უჭირთ ტექნიკური საგნების ათვისება, ხოლო ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებს ძირითადად არ აქვთ კომპეტენციები ეკონომიკაში. ამ მხრივ სამაგისტრო პროგრამაში მოღვაწე აკადემიური პერსონალი მაქსიმალურ ადაპტაციას ახდენს საგნობრივ და საკონსულტაციო დონეზე, რომ მოახდინოს შესაბამისი სამაგისტრო კურსის ამოცანის მიღწევა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდება;
- საქართველოსტექნიკურიუნივერსიტეტისმისია http://gtu.ge/AboutStu/Mission.php
- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა, ტექნოლოგიური პროექტების მენეჯმენტი და ინდუსტრიული პოლიტიკა, დამტკიცებულია სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2012 წლის 6 ივლისის N733 ბრძანებით, მოდიფიცირებულია სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 2 აპრილის N01-05-04/95 დადგენილებით;
- სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტიდებულება, შემუშავებულიაფაკულტეტის საბჭოს მიეროქმი #1 17.01.2018. წელი;
- სამაგისტრო პროგრამის ,, ტექნოლოგიური პროექტების მენეჯმენტი და ინდუსტრიული პოლიტიკა " სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ექსპერტთაინტერვიუ (19/10/2018) სტუ-ს ენერგეტიკისა და ტელეკომინუკაციის ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის კოორდინატორებთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან.

რეკომენდაციები:

- მიზნები გასაწერია იმგვარად, რომ ცოდნა, უნარები და კომპეტენცია მკაფიოდ გამოჩნდეს პროგრამის გაცხადებულ პრიორიტეტებსა და სამაგისტრო კურსის შედეგს შორის. ამ მხრივ პროგრამა დახვეწას საჭიროებს;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესოპრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებულიპროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- **<u>მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>**

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

1.2პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასებისშედეგებიგამოიყენებაპროგრამისგასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის დასრულების შემდეგ მისმა კურსდამთავრებულებმა უნდა შეიძინონ ცოდნა, საკმარისი ინდუსტრიული სისტემების ინოვაციური ინჟინერინგისა და ეფექტიანობის რადიკალური გაუმჯობესებისათვის.(https://dep.logos.ge/images/programebi/teqn.pdf) იგი საკმარისი უნდა იყოს ტექნოლოგიათა განვითარების პოტენციალის ადეკვატური ასახვისთვის სამეწარმეო, თუ სახელმწიფო მართვის ორგანიზაციების სტრატეგიულ ხედვებში. სამაგისტრო პროგრამის მიხედვით, კურსდამთავრებულები უნდა იცნობდნენ თანამედროვე სამეწარმეო გარემოში არსებულ და სამომავლო ტენდენციებს. პროგრამაში ჩართულ მაგისტრანტებს დასაქმების მაღალი მაჩვენებლი გააჩნიათ (http://dep.logos.ge/index.php/kursdamtavrebulebi)

დადგინდა, რომსწავლისშედეგებისშეფასებისრუქაარსებობს, ოღონდსაპილოტორეჟიმში.უნივერსიტეტშიარსებულისტანდარტისმიხედვითფოკუსქულე ბისმიხედვითკონცენტრაციაამეტაპზეხდება C შეფასებაზე.

პროგრამის სწავლის შესაფასებლად ტარდება შიდა გამოკითხვები, რომლის მიხედვით სტუდენტთა უმრავლესობა კმაყოფილია სწავლის შედეგით და იმ ცოდნით, რაც მიიღებს სამაგისტრო პროგრამის გავლის შემდეგ აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის გავლის შემდეგ სტუდენტს (მენეჯერს), გაცილებით უკეთ შეეძლება:

- სიტუაციის რაოდენობრივი შეფასება;
- კომპიუტერულ მოდელირება;
- პროექტის ლიდერის ფუნქციის შესრულება.

სამაგისტრო პროგრამის პრიორიტეტს წარმოადგენს შედეგებისა და მიზნების შემუშავება, საგნებს შორის ურთიერთკავშირი და სასწავლო კურიკულუმის მომზადება. ამით მიიღწევა აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის საბოლოო მიზნები და დგება პროგრამით გათვალისწინებული შედეგი. პროგრამა ტექნოლოგიებისა და მენეჯმენტის სინთეზს წარმოადგენს.
ამის მიუხედავად, სახეზეა სამაგისტრო ნაშრომების თემატიკის კავშირის აცდენა პროგრამასთან (ტერორიზმთან დაკავშირებულ ნაშრომი და სამხედრო თემატიკა მაგისტრების ნაშრომებში), თუმცა აკადემიური პერსონალის აზრით ამ თემებსა და პროგრამის თემატიკას შორის არის კავშირი.

სტუდენტებთან შეხვედრაზე ექსპერტების ინტერესის სფეროს წარმოადგენდა მათი არჩევანი - თუ რატომ აირჩიეს ეს პროგრამა და რა შეიძინეს მათ ახალი სწავლის პერიოდში. გამოკითხვის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ ეტაპზე პროგრამის მიმართ ინტერესი განპირობებულია კონკრეტული დამსაქმებლების და ფაკულტეტის მჭიდრო ურთიერთობით, მათ შორის პიროვნულ დონეზე, რაც განაპირობებს კონკრეტული დამსაქმებლის გადაწყვეტილებას დაუფინანსოს თავის დასაქმებულ კადრს სწავლა პროგრამაზე, სადაც ის აითვისებს იმ კონკრეტულ საკითხებს/საგნებს, რომელიც დამსაქმებლის და ბიზნესის ინტერესშია. ამ მხრივ სამაგისტრო პროგრამაზე არსებული მაგისტრების რაოდენობა - 4 მაგისტრი - ამის პირდაპირი შედეგია. სტუდენტმა აღნიშნეს, რომ მათი დაინტერესება ამ პროგრამით სწორედ სამსახურებირივ მდგომარეობასა და უმეტეს წილად ენერგეტიკის დარგში მუშაობას უკავშირდებოდა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა, მიზნები და სწავლის შედეგების რუკა - საპილოტო ვერსია
- დაცული სამაგისტრო ნაშრომები და სია
- მაგისტრატურის პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასება
- მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომის გაფორმების წესი(http://gtu.ge/pdf/magist_debuleba_dan5_2017_SD.pdf)
- ფაკულტეტის სხდომის ოქმები, ფოკუს ჯგუფების ოქმები და შეხვედრები (ოქმი 1(28/03/2015), 1(28/04/2016), 1(16/02/2018), 1(30/03/2018), 2 (13/10/2017), 2 (27/04/2018), 2(27/03/2018);
- სამაგისტრო პროგრამის ,,ტექნოლოგიური პროექტების მენეჯმენტი და ინდუსტრიული პოლიტიკა " სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ექსპერტთა ინტერვიუ (19/10/2018) სტუ-ს ენერგეტიკისა და ტელეკომინუკაციის ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის კოორდინატორებთან, აკადემიურ პერსონალტან, სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან

რეკომენდაციები:

- გააქტიურდეს დაინტერესებული მხარეების, კერძოდ პოტენციური დამსაქმებლების, სტუდენტებისა და კურსდამთარებულების რეალური ჩართულობა პროგრამის პოპულარიზაციის და შემუშავების პროცესში

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- გააქტიურდეს პროგრამის პოპულარიზაცია და მარკეტინგი, რომ გაძლიერდეს ინტერესი პროგრამის მიმართ.

საუკეთესოპრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

<u>მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლოპროგრამისმიზანი, სწავლისშედეგებიდამათთანპროგრამისშესაბამისობა		X		

2. სწავლებისმეთოდოლოგიადაორგანიზება, პროგრამისათვისებისშეფასებისადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-სგანსაზღვრულიაქვსპირთაპროგრამაზედაშვებისშესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯაროდახელმისაწვდომიწინაპირობებიდაპროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო პროგრამაზე უზრუნველყოფილია დაშვების გამჭირვალე, სამართლიანი, და საჯარო წესი. პროგრამაზემიღებისწინაპირობადაზოგადირეგულაციაპროგრამაზედაშვებისწინაპირობები სშესახებგანთავსებულიასაქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისვებგვერდზე (http://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/mobilobis_instruqcia_2018_SD.pdf) . სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა ბაკალავრის ან მასთან დაკავშირებული აკადემიური ხარისხის ქონა. მოთხოვნებს შორისაა საერთო სამაგისტრო გამოცდისა და სტუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდა/გამოცდების ჩაბარება. პროგრამაზე ჩარიცხვა სამაგისტრო გამოცდების გარეშე, შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. აღინიშნა ის პრობლემა, რომელიც უკავშირდება სხვადასხვა საბაზო ცოდნის მქონე მაგისტრანტების მიღებას პროგრამაზე. თუმცა სამაგისტრო პროგრამა და მისი დიზაინი

მიმართულია მეტ-ნაკლებად იმისკენ, რომ დააბალანსოს უნივერსიტეტში სიტუაცია და ინჟინრებს ასწავლონ უფრო ღრმად მენეჯერული საკითხები, ხოლო ბიზნესიდან მოსულებს კი უფრო უკეთ დააანახონ ინჟინერია და ა.შ.

ფაკულტეტის ადმინისტრაციამ განმარტა, რომ სამაგისტრო პროგრამა გამორჩეულია ბაკალავრიატისგან და ბაკალავრიატში ხდება ბაზის მიცემა პროგრამაში მსურველი მომავალი მაგისტრანტებისთვის. სტუდენტები სწავლობენ ტრადიციულ საგნებს როგორც მენეჯმენტის ისე ინჟინერიის მიმართულებით.

ამასთანავე აღინიშნა, რომ სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთასხვადასხვა დონისა და კვალიფიკაციის გამო ზოგჯერ ადგილი აქვს სტუდენტის მიერ ბაკალავრიატში სხვა სპეციალობით გავლილი კურსის ურთიერთგადამფარავი კურსის შემთხვევას. თუმცა, მაგისტრატურა უფრო მეტადაა ფოკუსირებული, რომ შედეგი მიღწეულ იქნას თანამედროვე სიტუაციის ცოდნით და ქეის სტადების პრინციპით ხდება სასწავლო მასალის გაძლიერება.

პროგრამაზე მისაღები საგამოცდო ბაზა (ტესტი) მოიცავს ტესტირებას, რომლის მასალას წარმოადგენს ბაკალავრიატში უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ნასწავლი მასალიდან ტესტების წარმატებით დაძლევა (სატესტო ბაზა მოიცავს 1000 ზე მეტ ტესტს და ამ ტესტის შედეგი განსაზღვრავს მაგისტრატურაში მოხვედრის წესს). ტესტები განთავსდება სტუ-ს სწავლების დეპარტამენტსი ვებ გვერდზე გამოცდების დაწყებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე.

ყურადსაღებია, რომ პროგრამაზე მოდიან როგორც ეკონომიკურ-მენეჯერული ბაზის მქონე სტუდენტები, ისე ინჟინრებიც. თანამედროვე ტენდენციების პირობებში, როგორიცაა - ინდუსტრია 4 - აღნიშნული სამაგისტრო პროგრამა ხელს უწყობს პროგრამის კურსდამთავრებულებს, რათა მათ ფეხი უნდა აუწყონ ამ პროცესებს. პროგრამის ნაწილი ინდუსტრიასა და ინჟინერიას ეხება, ნაწილი კი უშუალოდ მენეჯმენტს.

სამაგისტრო პროგრამაში ჩართული მაგისტრანტების რაოდენობა მცირეა, თუმცა ამ პროგრამით ძირითადად სწავლობენ ისინი, ვინც იმავე მიმართლებით დაამთავრეს საბაკალავრო პროგრამები. ფაკულტეტისა და პროგრამის კოორდინატორების აზრით ამ ეტაპზე, უნივერსიტეტში არ არის დაგროვებული ბაკალავრების კრიტიკული რაოდენობა, რომლებიც დაინტერესებული არიან ამ პროგრამით. ამაზე ასევე ნეგატიურად მოქმედებს ბოლო წლების განმავლობაში ჩამკოყალიბებული საზოგადოებრივი ცენზი/ხედვა, რომელიც გადახრილია ე.წ. პრესტიჟული მიმართულებების მიმართულებით, რაც თავის მხრივ ასევე ახდენს გავლენას სტუდენტების დაინტერესებაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ სტუ-შისტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქცია ▪ სტუ-ს დებულება მაგისტრატურის შესახებ ▪ სტუ-ში 2017/2018 წწ სამაგისტრო პროგრამებზე კონკურსის წესით ჩარიცხვისშესახებ (http://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/mobilobis_instruqcia_2018_SD.pdf) ▪ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები ▪ ექსპერტთა ინტერვიუ (19/10/2018) სტუ-ს ენერგეტიკისა და ტელეკომინუკაციის ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის კოორდინატორებთან, აკადემიურ პერსონალტან, სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიცუსდ- მუნდაგაითვალისწინოსიმისათვისრომპროგრამამდააკმაყოფილოსსტანდარტისმოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის **სასურველია პროგრამის პოპულარიზაცია და მისი სამიზნე აუდიტორისს გაზრდა**
საუკეთესოპრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ▪ <u>**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**</u> ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

2.2საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამაშედგენილიაუსდ-შიმოქმედისაგანმანათლებლოპროგრამებისდაგეგმვის, შემუშავებისადაგანვითარებისმეთოდოლოგიისგამოყენებით.პროგრამისშინაარსიითვალის წინებსპროგრამაზედაშვებისწინაპირობებსადასწავლისშედეგებს. პროგრამისსტრუქტურათანმიმდევრულიდალოგიკურია.შინაარსიდასტრუქტურაუზრუნველყოფსპროგრამისსწავლისშედეგებისმიღწევას. მისანიჭებელიკვალიფიკაციაშესაბამისობაშიაპროგრამისშინაარსთანდასწავლისშედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამა ეფუძნება სტუ-სნორმატიულ დოკუმენტებს (http://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/mag_deb_danarti_1_SD.pdf).
თვითშფასების ანგარიშში გაცხადებული თანმიმდევრობის მიხედვით ყოველ მომდევნო კომპონენტზე გადასვლა და ლოგიკა შემდეგია: საგანმანათლებლო პრინციპის - ზოგადიდან კონკრეტულისაკენ. პროგრამა ეფუძნება საერთაშორისო ანალოგებს და მისი გაუმჯობესება ხორციელდება თანამედროვე ტენდენციებისა და სტუდენტთა გამოკითხვის საფუძველზე.
პროგრამის სასწავლო კურსი მოიცავს 15 საგანს, რომლის საფუძველზე სამაგისტრო პროგრამის განსახორციელებლად დამტკიცებულია 23 სილაბუსი (ისწავლება 4 უცხო ენა თანმდევი კურსებით). საგნები ორ ჯგუფად შეგვიძლია დავყოთ - საწარმოო ეკონომიკისა და ბიზნეს პროცესების შესწავლის კომპონენტი და საინჟინრო - ლაბორატორიული დატვირთვა. სწავლის შედეგი ვლინდება სამაგისტრო ნაშრომის დაცვაში.
საგნების კომპონენტის აუცილებელი ელემენტებია: ცოდნა და გაცნობიერება, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, დასკვნის უნარი, კომუნიკაციის უნარი, სწავლის უნარი და ღირებულებები.

პროგრამაში მოწვეული პერსონალის ჩართვა მინიმალურ დონეზე ხორციელდება. ამ ეტაპზე პროგრამაში ჩართულია 14 აფილირებული პროფესორი და 2 მოწვეული. ფაქტიურად, არსებული სტრუქტურით პროგრამა არ საჭიროებს მოწვეული სპეციალისტის მოზიდვას.
უნდა აღინიშნოს, რომ სამაგისტრო პროგრამა და კურსები შედგენილ იქნა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით და იმ პროგრამათა გაცნობის შემდეგ, რომელიც დანერგილია ჯორჯიის (აშშ) ტექნიკურ უნივერსიტეტსა და დერფტის (ნიდერლანდები) უნივერსიტეტების პროგრამებს. საგანი „სამეწარმეო და ტექნოლოგიურ ინოვაციათა მენეჯმენტი“ დაინერგა დერფტის უნივერსიტეტის პროგრამის მიხედვით, ხოლო საგანი „გადაწყვეტილებათა მიღების რაოდენობრივი მეთოდები“ - ჯორჯიისტექნიკურიუნივერსიტეტისპროგრამებისმიხედვით. ამასთანავე, გათვალისწინებულიაადგილობრივისპეციფიკა.
სამაგისტროპროგრამაზედიდიყურადღებაეთმობაუცხოურიენისსწავლებას, რომელიცბიზნესკომუნიკაციისადადარგობრივიტექსტისთარგმნისთეორიასადაპრაქტიკასმ ოიცავს. ამასთანავე, ფაკულტეტისადმინისტრაციაწინააღმდეგია, რომსწავლაუცხოენაზემიმდინარეობდეს, რამეთუასეთშემთხვევაშიშესაძლებელიამხოლოდპრივილეგირებულისტუდენტებიგახდნენ პროგრამისსამიზნეჯგუფიდაესარშეესაბამებაეგალიტარიზმისპრიცნიპს.

უნივერსიტეტი უზრუნველყოს უცხოური ენის ცოდნის მაღალ სტანდარტს (ისწავლება სამი უცხო ენა არჩევითობის მიხედვით).

საკრედიტო საათების მხრივ ფაკულტეტის ადმინისტრაცია აღნიშნავს, რომ არ მიესალმება იმ ფაქტსაც, რომ ნაშრომისათვის გამოყოფილია 45 კრედიტი. დამატებითი პრობლემაა სტუდენტების სამსახურებრივი დატვირთვა, რის გამოც ლექციები საღამო საათებში ინიშნება.
პროგრამა შედგენილია ECTS სისტემით, 1 კრედიტი უდრის 25 საათს, რომელშიც იგულისხმება როგორც საკონტრაქტო, ისე დამოუკიდებელი მუსაობის საათები. პროგრამა გრძლედება 2 წელი (4 სემესტრი) და მოიცავს 120 კრედიტს. სასწავლო კომპონენტია - 75 კრედიტი, იგი სულ 15 სასწავლო კურსის გავლას ითვალისწინებს, რომელთაგან 2-ს მაგისტრანტი თავად ირჩევს შემოთავაზებული ალტერნატივებიდან.

კვლევითი კომპონენტის მოცულობაა 45 კრედიტი, რომელიც მოიცავს შემდეგს: სამაგისტრო კვლევის პროექტი/პროსპექტი - 5 კრედიტი, თეორიულ/ექსპერიმენტული კვლევა/კოლოქვიუმი - 10 კრედიტი, სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა - 30 კრედიტი.
ქულების სკალირების ფორმულა მოყვანილია „მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესში“ (http://gtu.ge/pdf/magistraturis_danarti_4_Sefasebis wesi_2018.pdf)

პროგრამის სტრუქტურა არის ლოგიკური და შინაარსი მეტ წილად შესაბამისობაშია სასწავლო შედეგთან. პროგრამა შესაბამისობაშია სამაგისტროსაფეხურთან

პროგრამის მიზნების მიღწევა არ დასტურდება პროგრამის შინაარსით და/ან დაცული სამაგისტრო ნაშრომების თემატიკით, რაც ეჭვ ქვეშ აყენებს პროგრამის მიზნების მიღწევას.მაგალითადდაცულ სამაგისტრო ნაშრომებში, რომლის საფუძველზე სტუდენტებს მიენიჭათ ხარისხი არის შემდეგი სამაგისტრო თემები:1. უმაღლესი სამხედრო - საგანმანათლებლო სისტემის მართვა; 2. საკადრო მუშაობა ქოლ-ცენტრებში; 3. პერსონალის მართვა შეიარაღებული ძალების საგანმანათლებლოსექტორში; 4. პერსონალის შერჩევა და მართვა.

